ოქმი:**ო37. 37242142**

თარიღი:**01/08/2024**

ოქმი N 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2024 წელი, 31 ივლისი

ქ. ოზურგეთი

11.00 – 13. 00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:ტ. არეშიძე, ნ. ჭანიშვილი;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ქ.ხომერიკი;

ფრაქციის თავმჯდომარეები- მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, ს. ქარცივაძე, გ. შილაკაძე, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, დ. მდინარაძე, რ. დუმბაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ნ.სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 32-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 32-ხმით.

დღის წესრიგი

38.1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი

ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. არეშიძემ განაცხადა, რომ მიესალმება ზემოთაღნიშნულ სოფლებში წყლის პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც ათეული წლების მანძილზე აწუხებდა მოსახლეობას, იგება სოფლებში რკინა-ბეტონის გზები, ხდება გაზიფიკაცია-ინტერნეტიზაცია და ეს ყველაფერი 2012 წლის შემდეგ, რაც ცხადია, სათანადო ასახვას ჰპოვებს მიმდინარე წლის არჩევნებში.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

39.2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ანგარიში წარმოდგენილი იყო საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ნაზარდი ჯამით, მაგრამ საკრებულომ არაერთხელ მოსთხოვა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურს წარმოედგინა კონკრეტული კვარტლის გეგმის შესრულების მაჩვენებლები, რაც საკრებულოს წევრებს კვალიფიციური ანალიზის გაკეთების საშუალებას მისცემდა.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ ანგარიშს.

40.4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-რა პერიოდში მოხდა ამ ქონების შეგროვება? უპასუხეს, რომ 2 წელში.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

41.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

42.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს წევრმა ბ. მელუამ დასვა შეკითხვა-შეეცვლება თუ არა ფუნქცია აღნიშნულ ფართს? უპასუხეს, რომ ფუნქცია იგივე დარჩება.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ

განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

43.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.46.160) მდებარე 2769 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 31 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

44.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანზე (ს.კ. 26.26.47.162 პარკის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 7586 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12.8 კვ.მ. და ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.337 ტროტუარი) მდებარე 686 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 51.81 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

45.9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე (რკინიგზის სადგურის მიმდებარე) მდებარე 87 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.26.46.065) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კარგია ქონების პირდაპირი განკარგვით გაცემის წესის ამოქმედება, იგი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაცაა და ქონების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვას და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასაც უწყობს ხელს.

10.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, ამასთან კომისიას მიაჩნია, რომ პროექტში გასასწორებელია ის ხარვეზები, რაც საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დარეგისტრირდა.

11.11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ქეთევან ხომერიკი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32 -ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ აღნიშნული დადგენილება რეალურად შეუწყობს ხელს მეწარმეობის განვითარებას, ამასთან აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ამ თვალსაზრისით გამოყოფილი ასიგნებების გაზრდა.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, პროექტში გასასწორებელია ის ხარვეზები, რაც საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დარეგისტრირდა.

12. ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობის

შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

13. ინფორმაცია კულტურის განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგების (2024 წლის ექვსი თვის მდგომარეობით) განხილვის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

14. ინფორმაცია ,,სპორტის განვითარების" ხელშეწყობის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ფაქტობრივი შედეგების (30.06.2024 წლის მდგომარეობით) განხილვის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

15. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემული ქონებიდან საიჯარო ქირის ბიუჯეტში შემოსულობების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-რის საფუძველზე გაუმჯობესდა საიჯარო ქირის ამოღების მაჩვენებელი? უპასუხეს, რომ მოხდა ამოღების ადმინისტრირების გაძლიერება და ზოგიერთ შემთხვევაში ქირის ოდენობის ზრდა.

16. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ საკრებულოს წევრმა ს. ქარცივაძემ გააკეთა განცხადება, რომ მიუხედავად მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული მუშაობისა ქალაქის ზოგიერთ უბნებში ყოველი წვიმისას იტბორება ქუჩები და საცხოვრებელი სახლები, სამაშველო სამსახური და ა(ა).ი.პ „მომსახურების ცენტრი“ ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის სათანადო დახმარებას, ითხოვა რეაგირება და ჯეროვანი ღონისძიებების გატარება.

გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნ. ასათიანმა განაცხადა, რომ თითქმის საუკუნეს მიღწეული გაზეთის რედაქციას უპირებენ ფართის გარეშე დატოვებას,

იმ მოტივით, რომ შენობა არ ექვემდებარება რეაბილიტაციას და დასანგრევია. ითხოვა დახმარება.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი